საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო

28/02/2025

MES 8 25 0000461933

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების“ 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან” და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2024 წლის 15 ოქტომბრის №1328517 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო მენეჯმენტის" საბაკალავრო, ,,სამეწარმეო მენეჯმენტის" სამაგისტრო, ,,საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო (180 ECTS კრედიტი), ,,ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი), ,,საჯარო მმართველობის" რუსულენოვანი სამაგისტრო, ,,ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო და ,,საჯარო მმართველობის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერზე სააკრედიტაციო ვიზიტი.

2.2. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭომ რჩევებში გადაიტანა 1.2 კომპონენტში გაცემული ერთი ინდივიდუალური რეკომენდაცია და ასევე, ცვლილება შეიტანა მეორე მათგანში, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები იმისთვის, რომ მკაფიო პრიორიტეტად განისაზღვროს ორიგინალური კვლევითი წვლილი და თეორიული მიღწევები“. ყოველივე აღნიშნულ არ უმოქმედია კომპონენტის შეფასებაზე.

საბჭომ ცვლილება შეიტანა 1.3 კომპონენტში გაცემულ კლასტერულ რეკომენდაციაში, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამებში, ჩამოყალიბდეს უფრო ფორმალიზებული უკუკავშირის ციკლი, რომლის შეფასების შედეგები პირდაპირ გამოიწვევს პროგრამულ ცვლილებებს, რომლებიც მორგებული იქნება თითოეული პროგრამის უნიკალურ საჭიროებებზე“. აღნიშნულმა არ იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე.

საბჭომ არ გაიზიარა 1.4 კომპონენტში გაცემული ერთი ინდივიდუალური და ერთი კლასტერული რეკომენდაცია. ყოველივე აღნიშნულმა იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ყოველივე აღნიშნულმა არ იმოქმედა პირველი სტანდარტის შეფასებაზე.

საბჭომ არ გაიზიარა 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია, რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აღნიშნულმა არ იმოქმედა მეორე სტანდარტის შეფასებაზე.

საბჭომ რჩევებში გადაიტანა 3.1 კომპონენტში გაცემული ორი კლასტერული და ერთი ინდივიდუალური რეკომენდაცია, რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.1 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაციებიდან, საბჭომ არ გაიზიარა ერთი მათგანი და მეორე რჩევებში გადაიტანა, რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭომ ცვლილება შეიტანა 4.2 კომპონენტში გაცემულ ინდივიდუალურ რეკომენდაციაში, რომელიც ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დოქტორანტურის ხელმძღვანელების კვლევით საქმიანობას, რადგან წარმოდგენილი

დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მათგან რამდენიმეს ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უფიქსირდება რაიმე სახის პუბლიკაცია“. საბჭომ რჩევებში გადაიტანა 4.3 კომპონენტში გაცემული ორი კლასტერული რეკომენდაცია, რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასებაზე და ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ყოველივე აღნიშნულა არ იმოქმედა მეოთხე სტანდარტის შეფასებაზე.
საბჭომ რჩევებში გადაიტანა 5.1 კომპონენტში გაცემული კლასტერული რეკომენდაცია, რასაც არ უმოქმედია კომპონენტის შეფასებაზე. საბჭომ რჩევებში გადაიტანა 5.3 კომპონენტში გაცემული ერთი ინდივიდუალური და ერთი კლასტერული რეკომენდაცია, რამაც იმოქმედა კომპონენტის შეფასება და ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. ყოველივე აღნიშნულა იმოქმედა მეხუთე სტანდარტის შეფასებაზე და ნაცვლად მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ ,,ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით - 2032 წლის 20 თებერვლამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ,,საინჟინრო მენეჯმენტის" საბაკალავრო, ,,სამეწარმეო მენეჯმენტის" სამაგისტრო, ,,საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" საბაკალავრო (180 ECTS კრედიტი), ,,ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის" სამაგისტრო (60 ECTS კრედიტი), ,,საჯარო მმართველობის" რუსულენოვანი სამაგისტრო, ,,ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო და ,,საჯარო მმართველობის" ინგლისურენოვანი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 28 თებერვლის სხდომის №222654 ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები იმისათვის, რომ პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად პრიორიტეტი მიენიჭოს ორიგინალურ კვლევით წვლილს. აღნიშნული გადახედვა მკაფიოდ უნდა გამოხატავდეს დოქტორანტების დამოუკიდებელ კვლევაში ჩართულობის მოლოდინს, რომელიც გააძლიერებს ცოდნას ინოვაციებისა და ოპერაციების მენეჯმენტის სფეროში.

2. რეკომენდებულია, გადაიხედოს სწავლის შედეგები იმისათვის, რომ მკაფიო პრიორიტეტად განისაზღვროს ორიგინალური კვლევითი წვლილი და თეორიული მიღწევები.
3. რეკომენდებულია მე-4 სწავლის შედეგის გადახედვა იმისათვის, რომ უკეთ იყოს ასახული ახალი ცოდნის შექმნა და არა მხოლოდ ტექნოლოგიების გადაცემის პოტენციალის შეფასება. აღნიშნულმა უნდა დააკონკრეტოს, რომ სადისერტაციო ნაშრომში არსებული ცოდნის პრაქტიკული გამოწვევებისთვის გამოყენებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს ახალი თეორიული ხედვების გენერირების უნარი.
4. რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში, განსაკუთრებით საბაკალავრო პროგრამებში, ჩამოყალიბდეს უფრო ფორმალიზებული უკუკავშირის ციკლი, რომლის შეფასების შედეგები პირდაპირ გამოიწვევს პროგრამულ ცვლილებებს, რომლებიც მორგებული იქნება თითოეულ პროგრამის უნიკალურ საჭიროებებზე.
5. რეკომენდებულია, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს დოქტორანტების ხელმძღვანელების კვლევით საქმიანობას, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ მათგან რამდენიმეს ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უფიქსირდება რაიმე სახის პუბლიკაცია.
6. რეკომენდებულია, გაიზარდოს სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის გაძლიერებისთვის და ინტერნაციონალიზაციისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი.

რჩევები:

1. სასურველია, პროგრამის მიზნებში მკაფიოდ იყოს ასახული ინტერნაციონალიზაცია. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ინოვაციებსა და ოპერაციების მენეჯმენტში გლობალური პერსპექტივების მნიშვნელობის ხაზგასმით, საერთაშორისო თანამშრომლობების ხელშეწყობით და დოქტორანტებისთვის საერთაშორისო კვლევებში და აკადემიურ გაცვლებში ჩართვის შესაძლებლობების უზრუნველყოფით.
2. სასურველია, სწავლის შედეგები მოიცავდეს ინტერნაციონალიზაციის ელემენტებს. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ინოვაციებისა და ოპერაციების მენეჯმენტში გლობალური ტენდენციების გაგების მნიშვნელობის ხაზგასმას, ასევე საერთაშორისო საკითხებზე და პრაქტიკის შესახებ კვლევის ჩატარების უნარს.
3. სასურველია, კლასტერში წარმოდგენილ პროგრამებში შემუშავდეს სწავლის შედეგების მონიტორინგის უფრო თანმიმდევრული და სისტემური მიდგომა.
4. სასურველია, პროგრამებში შემუშავდეს სწავლის შედეგების მონაცემების შეგროვების და ანალიზის უფრო სტრუქტურირებული მიდგომა.
5. სასურველია, უკუკავშირის სპეციფიკური მექანიზმები მორგებული იყოს თითოეული პროგრამის უნიკალურ საჭიროებებზე.
6. გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ სტუდენტებს ესაჭიროებათ მეტი პრაქტიკული აქტივობები. სასურველია, უნივერსიტეტმა უფრო გაამარავალფეროვნოს სწავლების და აქტივობების პრაქტიკული ნაწილი. მაგალითად, სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტებისთვის უზრუნველყოს მეტი სტაჟირება, მასტერკლასი, საჯარო ლექცია, დარგის სპეციალისტებთან შეხვედრები და ა.შ.
7. სასურველია, გაიზარდოს სტუდენტების საერთაშორისო პროექტებში და გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.
8. სასურველია, უნივერსიტეტმა და მისმა პერსონალმა გააუმჯობესოს სტუდენტებთან კომუნიკაცია და ჩართულობა, განსაკუთრებით ახალი პროგრამების შემუშავების პროცესში მათგან მეტი რეკომენდაციის და რჩევის მიღების მიზნით.
9. სასურველია, უნივერსიტეტმა მომავალში მაგისტრანტებს და დოქტორანტებს გაუწიოს მეტი მხარდაჭერა მათ კვლევით საქმიანობაში. შეთავაზებული უნდა იყოს კვლევების ინტერნაციონალიზაციის და ფინანსური მხარდაჭერის ეფექტური შესაძლებლობები.

10. ნაშრომების შესწავლისას გამოვლინდა აკადემიური წერის ნორმების დარღვევის რამდენიმე მაგალითი. სასურველია, ხელმძღვანელებმა აღნიშნული მიმართულებით უფრო ინტენსიურად იმუშაონ სტუდენტებთან და მისცენ რჩევები და რეკომენდაციები.
11. სასურველია უნივერსიტეტმა უზრუნველყოს როგორც აკადემიური, ისე დამხმარე პერსონალის აკადემიური განვითარება, რისთვისაც არ უნდა დაიშუროს არც ფინანსური და არც მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.
12. სასურველია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროფესიული და დარგობრივი ინგლისური ენის შემსწავლელი კურსების შეთავაზება.
13. სასურველია, გაუმჯობესდეს არსებული საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმების ხარისხი და გაგრძელდეს საბიბლიოთეკო რესურსების გამდიდრება.
14. სასურველია, სამუშაო სივრცეების ხელმისაწვდომობის მუდმივი გაუმჯობესება, განსაკუთრებით ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.
15. სასურველია პროგრამის მდგრადობისა და აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური განვითარებისთვის მეტი ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმების განვითარება.
16. სასურველია პროგრამის მდგრადობის გაძლიერების მიზნით, პროგრამის გამრავალფეროვნება საინჟინრო მენეჯმენტის სფეროში ახალი პერსონალის მოზიდვით.
17. სასურველია, უნივერსიტეტმა ძალისხმევა არ დაიშუროს დოქტორანტების ხელმძღვანელების აკადემიური განვითარების მხარდასაჭერად. პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის უფრო მეტად უნდა იყოს წახალისებული საერთაშორისო კვლევები და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
18. სასურველია, აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა წარადგინოს ყოველწლიური ანგარიში თავიანთი სასწავლო, კვლევითი და სხვა აკადემიური საქმიანობის შესახებ. ყოველივე აღნიშნული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებულ კვლევებთან ერთად, დაწესებულებას საშუალებას მისცემს უფრო ეფექტური გახადოს წახალისების მექანიზმები იმ პროფესორებისთვის და ლექტორებისთვის, რომლებიც მიმდინარე აკადემიურ წელს გამოირჩეოდნენ აქტიურობით, აქვეყნებდნენ სტატიებს რეცენზირებად ჟურნალებში, სტუდენტებისგან იღებდნენ უმაღლეს შეფასებებს და ა.შ.
19. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურმა გააგრძელოს აქტიური თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ისეთ აქტივობებში უწყვეტი ჩართულობით, როგორიცაა გაცვლითი პროგრამების კვლევა, საინფორმაციო კამპანიების ჩატარება და რეგულარული ინიციატივების ორგანიზება ყოველი აკადემიური წლისთვის.
20. სასურველია, სტუდენტების, ახალგაზრდა პროფესიონალების და მკვლევრების მოზიდვის და შენარჩუნების მიზნით ეფექტური მექანიზმების შემუშავება, კლასტერში წარმოდგენილი პროგრამების მდგრადობის და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
21. სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის კვლევასთან, გამოქვეყნებებთან და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ინტერნაციონალიზაციის აქტივობების მხარდაჭერა.
22. სასურველია, გასაუმჯობესებელი სფეროების გამოვლენის მიზნით უნივერსიტეტმა განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამების ყოვლისმომცველი თვითშეფასება, ასევე გასაუმჯობესებელ სფეროებთან მიმართებით დაგეგმოს აქტივობები და განსაზღვროს ვადები.
23. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული მონიტორინგის ფარგლებში, პროგრამების და სასწავლო კურსების შინაარსის შეფასებისას, უნივერსიტეტმა გამოავლინოს და 10 აღმოფხვრას სწავლება / სწავლის მეთოდებში, შეფასების მეთოდებში,

შეფასების რუბრიკებში, სამაგისტრო და საბაკალავრო ნაშრომების შემუშავების პროცესში და ა.შ. არსებული ხარვეზები.

24. სასურველია, განხორციელდეს "ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის" სადოქტორო პროგრამის შედარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან, პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ინტეგრირების მიზნით.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 20 თებერვალს.
6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიშის ვადად განისაზღვროს 2026 წლის 20 თებერვალი.
4. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის დაწესებულების ინფორმირების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
მდივანი
ტეფნაძე დავით

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
თუთბერიძე გოჩა

ელექტრონული
მზამავლსმეღლა
ელექტრონული

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№59, 19/07/2016
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VIII
9	კვალიფიკაციის დასახელება	მენეჯმენტის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა №77 (სტუ-ს სასწავლო კორპუსი №8), 0160
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლასწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	20/02/2025
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად 20/02/2026
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	20/02/2032